ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო
ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი



# ჩემო ნათლიდედაო

ხალხური

თბილისი
1963

784.4 (479.22)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემო ნათლიდედაო

ზომიერად ჩაწ. მ. ჩირინაშვილის მიერ



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემო ნათლიდედაო,
ცოტა მეჩქარებაო,
შორი გზიდან მავალი ვარ,
ცოტაც მეშივებაო.
პურის კვერი გამომიცხვე,
ცომი ნუ იქნებაო.
ხაჭაპური მოაყოლე,—
ყველი გეშოვებაო.
ყვინჩილეი დამიკალი,
ყელსა მომიხდებაო.
ვარიები ქე გაუშვი,
დედლად გაგეზრდებაო.
ცოტა ღვინო ამომიღე,
ჭურში გედგომებაო.
ჩემო ნათლიდედაო,
ძლიერ მეჩქარებაო.
შინ თუ ადრე არ მივედი —
დედა გამიწყრებაო;
უცნაური ცოლი მყავს,
შინ არ დამიხვდებაო,—
მეზობლისას გადიარს –
ვინცხას შეეყრებაო.
არშიყობას დაუწყებენ,
ვიცი შემიცდებაო.
ახალგაზრდა კაცი ვარ,
თავი მომეჭრებაო.
ჩემო ნათლიდედაო,
მისთვის მეჩქარებაო!

M 13917/2
FM 163/2
საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

უფასო

მეცნ. რედ. ხ. ნასიძე          ლიტ. რედ. ე. ლილომამიშვილი

შეკვეთა № 2370.          ფოტოცინკოგრაფია.          ტირაჟი 500.

ვ/ლი
ი 18/695
FM 1/63 2
ეროვნული ბიბლიოთეკა